



ქალაქობა, მშვიდობასა
და უსაფრთხოებაზე
ბაეროს
უშიშროების საბჭოს
რეგულაციების
ბანხორცილების
2018-2020 წლების
საქართველოს
ეროვნული
სამოქმედო გეგმის

2020 წლის
შესრულების ანბარიში



სარჩევი

3 შესავალი

4 მოქმედების სფერო I - მონაწილეობა. ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე

18 მოქმედების სფერო II - პრევენცია

28 მოქმედების სფერო III - დაცვა

47 მოქმედების სფერო IV - სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელება და მონიტორინგი

შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2020 წლის შესრულების ანგარიშს. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ და განკუთვნილია, როგორც პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირის/ორგანიზაციისათვის. ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სამოქმედო გეგმის საფუძველზე, 2020 წლის კალენდარულ პერიოდში, შესასრულებელი აქტივობების შესახებ, ინდიკატორებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებების მითითებით.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისათვის) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის N173 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა რეზოლუციების განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებები და ამ ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელ უწყებათა უფლებამოსილების ფარგლები. 2020 წლის შესრულების ანგარიშის მიზანს, როგორც სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული გამოკვეთილი თუ ნაწილობრივი პროგრესის გამოვლენა, ისე იმ გამოწვევების იდენტიფიცირება წარმოადგენს.

ანგარიში მოიცავს მოქმედების ოთხ ძირითად სფეროს. ესენია: ქალთა გაზრდილი მონაწილეობის საკითხი გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე; ქალებსა და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისა და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციის საკითხები; დაცვის ღონისძიებები, კერძოდ, ქალებისა და გოგონების უსაფრთხოება, საჯარო სერვისებზე წვდომა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა; სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელებისა და მონიტორინგის საკითხები.

მოქმედების სფერო I - მონაწილეობა. ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე;

მიზანი 1.

ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე უსაფრთხოების სექტორში და სამშვიდობო მოლაპარაკებებში

ამოცანა 1.1. უსაფრთხოების სექტორში ქალთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა და ფუნქციონირებს ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ანალიზზე

ამოცანის ინდიკატორი: 1.1.ა: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით

ბაზისი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - რიგი დოკუმენტები გენდერულად მგრძნობიარეა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - არ აქვს

მიზანი: გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების არსებობა

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტები

ამოცანის ინდიკატორი: 1.1.ბ: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის რეგულარული მონიტორინგის და შეფასების სისტემის არსებობა

ბაზისი: არ არსებობს

მიზანი: ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არსებობა და ყოველწლიური მონიტორინგი

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ამოცანის ინდიკატორი 1.1.გ : უსაფრთხოების სექტორში (სამოქალაქო და თავდაცვის ძალებში) სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების არსებობა და ხელმისაწვდომობა

ბაზისი: არ არსებობს

მიზანი: სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა ანალიზის სისტემის შექმნა და მონაცემთა პროცენტული მაჩვენებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ამოცანის ინდიკატორი 1.1.დ: გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული რაოდენობა კაცებთან თანაფარდობით

ბაზისი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - 32%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 3 % მიზანი: მონაცემების სულ მცირე შენარჩუნება

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქმიანობა 1.1.4.

კარიერული განვითარებისათვის შექმნილ პროგრამებში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: განხორციელდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

კარიერული განვითარებისათვის შექმნილ პროგრამებში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა მხარდაჭერილია შიდა უწყებრივ დოკუმენტებში და ამ კუთხით თავდაცვის სამინისტროში მუდმივად ხდება მონაცემთა ანალიზი. მაგ: NATO-ს ყოველწლიური კითხვარის შევსებისას, ანალიზდება კარიერული

განვითარების პროგრამებში მონაწილეთა მონაცემები სქესის ნიშნით. ასევე, 2020 წლის 19-20 აგვისტოს, თავდაცვის სამინისტროს ქალი სამხედრო მოსამსახურეების კარიერული/პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესწავლის მიზნით, ადამიანური რესურსების დეპარტამენტისა და J1 -პერსონალის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა ფოკუს ჯგუფები ქალი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით. ქალთა კარიერული განვითარების მხარდაჭერას ემსახურება ჟენევის უსაფრთხოების სექტორის მართვის ცენტრთან ერთად 2020 წლის ბოლოს ინიცირებული პროექტი «ქალების გაძლიერების პროგრამა».

შინაგან საქმეთა სამინისტროში უზრუნველყოფილია ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობა როგორც გაცვლით ვიზიტებში, ისე სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო მოდულში.

საქმიანობა 1.1.5.

უსაფრთხოების სექტორის უწყებებისთვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა დოკუმენტების მომზადება, განახლება და დამტკიცება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის ახალ სტრატეგია/კონცეფციასზე. COVID -19 -ით გამოწვეულმა პანდემიამ დოკუმენტის დამტკიცება შეაფერხა (დოკუმენტის სამუშაო ვერსია გადაიგზავნა გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან. შეხვედრები ძირითადად ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა, რაც სამუშაო პროცესს აფერხებდა). აღნიშნული სტრატეგია/კონცეფციის დამტკიცება დაგეგმილია 2021 წლის მეორე კვარტალში.

შინაგან საქმეთა სამინისტროში შემუშავებულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის 2021-2023 წლების სტრატეგიის სამუშაო ვერსია, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება. უწყებისთვის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის პროექტ „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ ფარგლებში.

საქმიანობა: 1.1.6.

უსაფრთხოების სექტორის უწყებების თანამშრომლებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და კოორდინაციის მიზნით რეგულარული შეხვედრების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

2020 წელს, გაიმართა ონლაინ სამუშაო შეხვედრა: „გენდერი და COVID-19-უსაფრთხოების სექტორის მიერ მიღებული გამოცდილება საქართველოში“, რა დროსაც განხილული იქნა უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორებში COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გენდერული განზომილება და წარმოდგენილი იქნა ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებზეც აქცენტი უნდა გაკეთდეს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. შეხვედრაში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს, ასევე სხვა რელევანტური უწყებების წარმომადგენლები.

ამოცანა 1.2.

სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის ზრდა ხელშეწყობილია;

ამოცანის ინდიკატორი: 1.2.ა: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში მონაწილე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი; ბაზისი: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში 2017 წელს - 40% ქალი; ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში - 33% ქალი;

მიზანი: 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი;

წყარო: ინსტიტუციები, რომლებიც ჩართულია მოლაპარაკებების ფორმატებში;

ამოცანის ინდიკატორი: 1.2.ბ: გადამზადებული ქალების რაოდენობა;

ბაზისი: 20;

მიზანი: 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი;

წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

საქმიანობა 1.2.1.

სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ტრენინგის ჩატარება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ეროვნული სამოქმედო გეგმის საფუძველზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში დაინერგა ტრენინგ-კურსი „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ კონფლიქტის თემებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთათვის. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ჩართულ ქალებს ჩუქარდათ ტრენინგების სპეციალური კურსი (ToT) და მათი ჩართულობით შემუშავდა გზამკვლევი „კონფლიქტის ანალიზსა და გენდერულად ინკლუზიურ სამშვიდობო პროცესებზე“. შემუშავებული სასწავლო მოდულის ფარგლებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ პირველი საპილოტე ტრენინგი 2020 წლის 21-23 თებერვალს ჩატარდა. ტრენინგი განკუთვნილი იყო საქართველოს საჯარო უწყებების თანამშრომლებისთვის, რომლებიც ჩართული არიან რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ტრენინგს ესწრებოდა 19 მონაწილე.

1. საგარეო საქმეთა სამინისტრო - 4 მონაწილე
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - 2 მონაწილე
3. თავდაცვის სამინისტრო - 2 მონაწილე
4. შინაგან საქმეთა სამინისტრო - 2 მონაწილე
5. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია - 2 მონაწილე
6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 3 მონაწილე

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით IPRM-ის შეხვედრები 2018 წლის 27 ივნისის შემდეგ არ გამართულა, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 2019 წლის აგვისტოს შემდეგ, 2020 წლის 30 ივლისამდე პერიოდში, აღარ ჩატარებულა. 2020 წლის განმავლობაში, აღნიშნულ ფორმატში ორი შეხვედრა, 30 ივლისს და 24 სექტემბერს, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით გაიმართა. კორონავირუსის პანდემიის ფონზე აღნიშნული შეხვედრები შემჭიდროებულ ფორმატში ჩატარდა და სახელმწიფო უსაფრთხოების

სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მხოლოდ 2-მა წარმომადგენელმა მიიღო. შესაბამისად, გენდერული ბალანსის დაცვა უშუალოდ შეხვედრებზე ვერ მოხერხდა, თუმცა, IPRM შეხვედრების მომზადების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი, მათ შორის, ქალი ანალიტიკოსები.

საქმიანობა 1.2.2.

დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სამხედრო ატაშის პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ატაშეს პოზიციაზე ქალთა წარმომადგენლობის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარეობს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გადახედვა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების მოძიება/დამუშავება, რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილ იქნას ამ მიზნით ქალთა სათანადოდ გადამზადება.

ამოცანა 1.3.

მშვიდობის მშენებლობის პროცესში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, ახალგაზრდების და ქალთა ორგანიზაციების ჩართულობა გაზრდილია და სახალხო დიპლომატიის ინიციატივები მხარდაჭერილია;

ამოცანის ინდიკატორი: 1.3.ა: ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის ინიციატივების პროცენტული მაჩვენებელი

ბაზისი: 2017 წელი - 20%;

მიზანი: 2020 წელს 20% -იანი ზრდა;

წყარო: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

საქმიანობა: 1.3.1.

სამშვიდობო/ნდობის მშენებლობის ინიციატივებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის/თანამშრომლობის გაძლიერება (შეხვედრების ორგანიზება);

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სამშვიდობო/ნდობის მშენებლობის ინიციატივებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეგულარულად მართავდა შეხვედრებს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში.

საქმიანობა 1.3.2.

ქალთა ორგანიზაციების ხელშეწყობა სახალხო დიპლომატიის ინიციატივების განსახორციელებლად (შეხვედრების ორგანიზება);

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამართა 2 მრავალმხრივი შეხვედრა კონფლიქტის თემაზე მომუშავე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან, 2 მრავალმხრივი შეხვედრა არასამთავრობო, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებთან, ასევე 10-მდე ორმხრივი შეხვედრა ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან.

საქმიანობა 1.3.3.

განხორციელებული სამშვიდობო პროექტების შესახებ, გენდერულ ქრილში, ინფორმაციის მომზადება და წლიურ ანგარიშში ინტეგრირება;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

2020 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ თანხმობა გაიცა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების 36 ნდობის აღდგენის პროექტზე. აქედან 4 პროექტი (11%) მოიცავდა ქალთა საკითხებს ან/და წარდგენილი იყო ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. პროექტები ხორციელდებოდა კონფლიქტით დაზარალებული ახალგაზრდა ქალების ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, ფერმერ ქალთა გაძლიერების, ქალი ჟურნალისტების უნარ-ჩვევების განვითარების, ასევე COVID-19 პანდემიის კონტექსტში ქალების დახმარების მიმართულებით.

საქმიანობა 1.3.4.

ლიდერობის ტრენინგები დევნილი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისთვის და ახალგაზრდებისთვის

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მუნიციპალიტეტები

შესრულების სტატუსი: თბილისის მერია - განხორციელდა.

თბილისის მერია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მუნიციპალური გამგეობების დონეზე პერმანენტულად მუშაობს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათი განათლებისათვის ადგილობრივ დონეზე ჩატარდა შეხვედრები, გამოიკვეთა მათი პრიორიტეტული საჭიროებები და დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები. დევნილი მოსახლეობა სარგებლობს, მათთვის გათვალისწინებული, როგორც ცენტრალური სახელმწიფო პროგრამებით, ასევე თბილისის მუნიციპალური სერვისებით გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ჩართულობით, 2020 წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრების ციკლი რეგიონების ფარგლებში (სულ 8 შეხვედრა). შეხვედრას ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარე,

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში და ასევე ესწრებოდნენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები. შეხვედრის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილდა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებულ საკითხებზე, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის და ასოციაცია “თანხმობის” ერთობლივი თანამშრომლობით საანგარიშო პერიოდში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა შიდა ქართლში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან. შეხვედრის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხები.

მიზანი 2.

დევენილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და გადაჭრის საკითხებზე;

ამოცანა 2.1. შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში დევენილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული საკითხები განხილული და გათვალისწინებულია;

ამოცანის ინდიკატორი: 2.1.ა: ქალებთან, ახალგაზრდებთან და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების გეოგრაფიული არეალი და რაოდენობა, რომლებიც მათი პოლიტიკის შემუშავებისა და მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს;

ბაზისი: არ არსებობს;

მიზანი: წლის განმავლობაში მინიმუმ სამი შეხვედრა;

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევენილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ამოცანის ინდიკატორი: 2.1.ბ: პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნობრივ პროგრამებში ქალებისა და გოგოების მიერ დასმული პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს;

მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს;

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია; მუნიციპალიტეტები.

საქმიანობა 2.1.1.

რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დევნილი ქალების და ახალგაზრდების ჩართულობას პოლიტიკის განსაზღვრის პროცესებში, კერძოდ კი სტატუსის განსაზღვრის, საარსებო წყაროებისა და განსახლების პოლიტიკის რეფორმის პროცესში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო); არ განხორციელებულა - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

სტატუსის განსაზღვრის, საარსებო წყაროებისა და პოლიტიკის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, რეფორმები არ განხორციელებულა.

საქმიანობა 2.1.2.

რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კონფლიქტით დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების ჩართულობას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის პროცესში;

პასუხისმგებელი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის წევრი უწყებები გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მოსახლეობასთან დიალოგის უზრუნველყოფისათვის ატარებდა შეხვედრებს აღნიშნულ სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან და მათი საჭიროებების საკითხებზე სხვადასხვა უწყებებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის და მოადგილის ვიზიტები სოფელ ქვეშში, ბერშუეთში, მეჯვრისხევში, ოძისში, ხურჩაში, ორსანტიაში, ჭალეში, ფოცხოენერში, პერევეში, კარალეთში, ნიქოზში, წითელ უბანში, ატოცში და ტახტისძირში, სადაც გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ოჯახებთან; ფახულანში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან; ერგნეთში გაიმართა შეხვედრა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებიც.

ამოცანა 2.2.

მოლაპარაკებების პროცესში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა საჭიროებები, პრიორიტეტები და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებულია;

ამოცანის ინდიკატორი: 2.2.ა: მოლაპარაკებების პროცესში, შეხვედრების ფორმატის და მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქალთა პრიორიტეტების და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი;

ბაზისი: 2017 წელი - 70%;

მიზანი: 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი;

წყარო: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შეხვედრების ოქმები.

საქმიანობა 2.2.1.

ინფორმაციის გაცვლისა და ქალთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების მოლაპარაკებებში გათვალისწინების მიზნით, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველთა, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობით, რეგულარული დიალოგის მექანიზმის გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

შესრულების სტატუსი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - მიმდინარე მეტწილად შესრულდა.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და დევნილ ქალთა პრობლემებზე დიალოგის ხელშესაწყობად საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ჟენევის მოლაპარაკებებში საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხელშეწყობით, რეგულარულ შეხვედრებს მართავენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, მათ შორის არასამთავრობო

ორგანიზაციების და ქალთა უფლებების დამცველების, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობით. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში, 14 ივლისს გაიმართა შეხვედრა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით თემაზე - „ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“. შეხვედრაზე განხილულ იქნა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და დევნილი ქალების პრობლემები, ასევე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მიმდინარეობა და სამშვიდობო პროცესში დაზარალებულ ქალთა საჭიროებების ასახვის საკითხი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა 2020 წელს მონაწილეობა მიიღო ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის გამართულ ერთ შეხვედრაში

საქმიანობა 2.2.2.

ქალთა პრიორიტეტებისა და საჭიროებებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველთა, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობით, რეგულარული დიალოგის მექანიზმის გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განაგრძობდა ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მონაწილეებისა და სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების და კონფლიქტით დაზარალებული ქალების მონაწილეობით რეგულარული დიალოგის მექანიზმის ფარგლებში შეხვედრების ორგანიზებას. გასათვალისწინებელია, რომ 2020 წელს შეხვედრების ჩატარებაზე არსებითი გავლენა იქონია მსოფლიოში ახალი კორონავირუსის პანდემიის გავრცელებამ.

2020 წლის 31 ივლისს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გაიმართა გაცვლითი საინფორმაციო შეხვედრა დისტანციურ რეჟიმში, რომლის დროსაც ვრცლად იქნა განხილული

საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს არსებული მდგომარეობა და ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ქალთა საჭიროებები. შეხვედრას 51 ქალი დაესწრო. .

2020 წლის 29 ოქტომბერს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, რეგულარული დიალოგის მექანიზმის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოებასთან კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც 43-მა ქალმა მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე განხილული იყო IPRM-ის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, ასევე მიმდინარეობდა მსჯელობა კონფლიქტით დაზარალებული ქალების უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საჭიროებების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ საოკუპაციო ძალების მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად IPRM-ის შეხვედრების შეწყვეტა ნეგატიურად აისახა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების პრობლემების, ზემოაღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, გადაჭრა/განხილვის პროცესზე. 2020 წელს, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულ IPRM-ის შეხვედრების აღდგენის პარალელურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა, სხვა საკითხებთან ერთად, მწვავედ და- აყენეს ოკუპირებულ ახალგორში მცხოვრები საქართველოს მოქალაქის, თამილა მეარაყიშვილის საკითხი.

მოქმედების სფერო II - პრევენცია;

მიზანი 3.

ქალებზე და გოგოებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია;

ამოცანა 3.1. დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების ადამიანური უსაფრთხოება გაზრდილია;

ამოცანის ინდიკატორი 3.1.ა: დაკავებული ქალების რაოდენობა და თანაფარდობა კაცებთან გამყოფი ხაზის ე.წ. «უკანონო» კვეთისას;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს;

მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს;

წყარო: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

ამოცანის ინდიკატორი 3.1.ბ: გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის კონცეფციის არსებობა;

ბაზისი: არ არსებობს;

მიზანი: ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების არსებობა;

წყარო: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

საქმიანობა 3.1.1.

საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათ ოჯახის წევრებთან სექსუალური ან სხვა გენდერული ნიშანით ჩადენილ ძალადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებზე (როგორცაა ტრეფიკინგი, ომის ნარჩენები, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და უკანონო დაკავების საფრთხეები), ასევე სექსუალური ძალადობის მსხვერპლ-თათვის(დაზარალებულთათვის) სახელმწიფო სერვისების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალებმა ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით უკანონოდ დაკავებული 64 პირიდან 6 ქალი და 1 არასრულწლოვანია, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით დაკავებული 13 პირიდან - 1 ქალი და 2 არასრულწლოვანია საერთო ჯამში, 2020 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით უკანონოდ დაკავებულ ქალთა წილი 9.5%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან კონტროლირებად ტერიტორიაზე მომავალი მოქალაქეების დაკავების შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად შეგროვება ვერ ხდება. შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული უკანონოდ დაკავებულთა რაოდენობა რეალური რაოდენობის დაახლოებით 10-15%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით, გამართა 3 საკონსულტაციო შეხვედრა. კერძოდ: - სოფ. ორსანტიაში, ესწრებოდა - 20 ქალი, 2 კაცი;
- სოფ.მეჯვრისხევში, ესწრებოდა - 8 ქალი, 3 კაცი;
- სოფ.ზარდიაანთკარში, ესწრებოდა - 12 ქალი, 11 კაცი.

ზემოაღნიშნულ შეხვედრებზე განხილული იყო ქალთა წინააღმდეგ, არასრულწლოვანთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები, ასევე ამ კუთხით სახელმწიფოს მიერ განვითარებული სერვისები და რეფერირების მექანიზმები. შეხვედრებს ესწრებოდ-

ნენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, მათ შორის, მასწავლებლები, მშობლები, მაღალი კლასის მოსწავლეები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები.

2020 წლის 27 ოქტომბერს, დაგეგმილი იყო კიდევ ერთი შეხვედრის ჩატარება საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. პერევეში, რომელიც, ადგილობრივი ხელისუფლების რეკომენდაციით გადაიდო ადგილზე და ზოგადად ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე.

საქმიანობა 3.1.2.

წლიურად არანაკლებ 5 საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზება დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების, კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე-მეტწილად შესრულდა;

განხორციელდა 3 საკონსულტაციო შეხვედრა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან უშუალო შეხვედრის ფორმატით, შემდეგ რეგიონებში: ზარდიაანთკარი, ორსანტია და მეჯვრისხევი.

საქმიანობა 3.1.3.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების და ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა/ინფორმაციის განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში, შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და აპარატის წარმომადგენლები რეგულარულად ახორციელებდნენ

ვიზიტებს საოკუპაციო ხაზებთან მიმდებარე სოფლებში და მართავდნენ შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის ქალებთან, ინფორმაციის გაცვლისა და მათი საჭიროებების შესწავლის მიზნით. 2020 წელს განხორციელდა სახელმწიფო მინისტრის და მოადგილის ვიზიტები ქვეშში, ბერშუეთში, მეჯვრისხევში, ოძისში, ხურჩაში, ორსანტიაში, ჭალეში, ფოცხოენერში, პერევიში, კარალეთში, ნიქოზში, წითელ უბანში, ატოცში და ტახტისძირში, სადაც გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ოჯახებთან; ფახულანში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან; ერგნეთში გაიმართა შეხვედრა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან.

კოვიდ-19 პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, საოკუპაციო ხაზთან მდებარე კონფლიქტით დაზარალებულ 116-ვე სოფელში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას გაენია ჰუმანიტარული დახმარება. კერძოდ, გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში ჰიგიენური საშუალებებისა და საკვები პროდუქტების კალათები გადაეცა 857 ოჯახს, მათ შორის შშმ პირებს და მრავალშვილიან ოჯახებს, ხოლო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში - 2174 ოჯახს (მარტოხელა მოხუცებს და სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს)

აღნიშნული საქმიანობის შესრულების მიზნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2020 წელს შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიებიდან პერიოდულად გამოითხოვდა ინფორმაციას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შესახებ. მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ძირითადად ეხებოდა აღნიშნულ სოფლებში ინფრასტრუქტურული საჭიროებების შესახებ ინფორმაციას. ინფორმაციის მიღების შემდგომ ხდებოდა შესაბამისი დამუშავება, საჭიროებების ანალიზი და მუნიციპალიტეტებთან კონსულტაციებისა და მათთან თანამშრომლობის საფუძველზე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში იდენტიფიცირებული საჭიროებების გათვალისწინება პროექტების დაგეგმვის, დაფინანსების და განხორციელების პროცესებში. ასევე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით, გამართა 3 გასვლითი საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვანთან მიმართ ძალადობის და სახელმწიფო სერვისების შესახებ. შეხვედრები ჩატარდა სოფელ ორსანტიაში, მეჯვრისხევსა და ზარდიანთკარში.

საქმიანობა 3.1.4.

დევნილთა ჩასახლებებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

დევნილთა ჩასახლებებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (გორი, რუსთავი, წეროვანი) ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის ონლაინ შეხვედრები COVID-19 და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაეროს მოსახლეობის ფონდის და გაეროს მოსახლეობის ფონდის და სამინისტროს მიერ სამინისტროს მიერ.

ამოცანა 3.2.

უსაფრთხოების სექტორის, სპეციალური ქვედანაყოფების, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, სამშვიდობო, სამართალდამცავი და იურიდიული დახმარების სამსახურის პერსონალის შესაძლებლობები, სექსუალური და გენდერული ნიშნით დალადობის პრევენციისა და შესაბამის რეაგირებაზე, მათ შორის კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, გაზრდილია

3.2.ა: სექსუალური და გენდერული ნიშნით დალადობის პრევენციასა და რეაგირების საკითხებზე გადამზადებულ უსაფრთხოების სექტორის, სპეციალური ქვედანაყოფების (მათ შორის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, კრიმინალური პოლიცია), სამშვიდობო ძალების მოსამსახურეების და სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურის პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს

მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

3.2.ბ: სამხედრო დანაყოფებსა და სამშვიდობო ოპერაციებში გენდერული მრჩევლების რაოდენობა

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს

მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქმიანობა 3.2.1

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს თავდაცვის ძალებსა და სპეციალურ ქვედანაყოფებში (მათ შორის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, და კრიმინალური პოლიცია) სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტების პრევენციასა და მათზე ეფექტურ რეაგირებას;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტებზე ეფექტური და სათანადო რეაგირებისთვის, საგამოძიებო პროტოკოლის საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლების და პროტოკოლის განახლება/შემუშავებისთვის, თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის, გენერალური ინსპექციისა და საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს UN Women-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში (2020 წლის 15-17 იანვარი) სექსუალური შევიწროებისა და მსხვერპლზე ფოკუსირებული გამოძიების მექანიზმების შესახებ. პროტოკოლის შემუშავების პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართულები გენერალური ინსპექციისა და სამხედრო პოლიციის თანამშრომლები. კორონა ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ აღნიშნული მიმართულებით სამუშაო პროცესი დროებით შეაფერხა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში შემუშავებულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის 2021-2023 წლების სტრატეგიის სამუშაო ვერსია, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება. უწყებისთვის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირი პროექტ „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ ფარგლებში.

გენდერული თანასწორობის და «ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე» გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის შესახებ, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლებები ინტეგრირებულია ოფიცერთა და სერჟანტთა საკარიერო სწავლების ყველა კურიკულუმში და აგრეთვე სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების პროგრამებში.

2020 წელს სამშვიდობო ოპერაციებში გადასროლის წინა სავალდებულო ტრენინგებით - ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების, მათ შორის კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, გადამზადდა 1600 სამხედრო მოსამსახურე.

საქმიანობა 3.2.6.

ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება გადასროლის წინა მომზადების და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესებში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს განხორციელდა ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის-წინა მომზადების, აგრეთვე გადასროლის შემდეგ რეაბილიტაციის პროგრამებში.

საქმიანობა 3.2.7.

გაეროს უშიშროების საბჭოს ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე რეზოლუციების შესახებ სწავლებების განხორციელება სამხედრო საკარიერო კურსებსა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული განვითარების კურსებში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლასთან თანამშრომლობით, დაინერგა ელექტრონული კურსი „გენდერული პერსპექტივების ინტეგრაცია ოპერატიული ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის“, რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებას ეხება სამშვიდობო ოპერაციებში. აღნიშნული კურსი სავალდებულო იქნება მისიაში გადასროლილი ქვედანაყოფის შტაბის სამხედრო მო-

სამსახურებისთვის და ასევე სხვა ოფიცრებისთვის. გენდერული თანასწორობის და გაერო-ს უშიშროების საბჭოს ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება 1325 და შემდგომი რეზოლუციები, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლებები ინტეგრირებულია ოფიცერთა და სერჟანტთა საკარიერო სწავლების ყველა კურიკულუმში და აგრეთვე სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების პროგრამებში.

2020 წელს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში გამართულ ტრენინგზე „გენდერი უსაფრთხოების სექტორში“ გადამზადდა თავდაცვის სამინისტროს 13 წარმომადგენელი; ტრენინგებით - „გენდერული თანასწორობა“ და „გენდერული მეინსტრიმინგი“ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში გადამზადდა 76 სტუდენტი; გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიაში გენდერული თემატიკის შესახებ ტრენინგებით გადამზადდა 134 სერჟანტი.

საქმიანობა 3.2.10.

მიზნობრივი ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ქვედანაყოფისათვის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ოფიცრებისთვის, გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 და შემდგომი რეზოლუციების შესახებ სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის, პრევენციასა და რეაგირებაზე და მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს, „ინკლუზიური სამშვიდობო პროცესი, მოლაპარაკებები და გენდერული პერსპექტივა“ - ტრენინგ მოდული შემუშავდა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და ამავე რეზოლუციებზე 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების ფარგლებში. ტრენინგის მიზანია, მონაწილეებს გააცნოს თუ რას გულისხმობს ინკლუზიური სამშვიდობო პროცესი და როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტების დარეგულირებისა და მოლაპარაკებების პროცესში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება. ტრენინგ-მოდულის საფუძველზე ჩატარებულ ტრენინგში მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი;

2020 წელს, ჩატარდა ტრენინგი საჯარო მოხელეებისთვის „გენდერი, გენდერული თანასწორობა და გენდერული საკითხების ინტეგრირება“ - კურსის ძირითადი მიზანია, განახლებული პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის შესაბამისად, პოლიტიკის, ანალიტიკისა და კოორდინაციის სტრუქტურული ერთეულების თანამ-

შრომლებისთვის პოლიტიკის შემუშავებისას გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტების გამოყენების უნარების გამომუშავება. ტრენინგში მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

აღნიშნული ტრენინგი ორგანიზებული იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, კერძოდ, სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის მიერ. ტრენინგ-მოდული გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და აღნიშნული დიპლომატიური ინსტიტუტის ერთობლივი თანამშრომლობით შემუშავდა.

ტრენინგი ჩაატარეს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა (ასევე, მომხსენებლის ამპლუაში იყო გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი). რაც შეეხება მონაწილეებს, შინაგან საქმეთა სამინისტროდან ესწრებოდა ორი წარმომადგენელი (1 წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტიდან და 1 წარმომადგენელი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტიდან). შსს-ის გარდა, ტრენინგში მონაწილეობდნენ სხვადასხვა უწყებების, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

2020 წელს, შსს-ს თანამშრომლების მიერ ჩატარდა ტრენინგი შსს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირებისთვის გენდერული თანასწორობის რელევანტურ საკითხებზე. მონაწილეები გაეცნენ სახელმწიფოში არსებული საკანონმდებლო და სხვა დოკუმენტებს, სპეციალური ფოკუსით ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს #1325 რეზოლუციაზე.

საქმიანობა: 3.2.11.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, სპეციალურ ქვედანაყოფებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: პრობლემურია

აღნიშნული საქმიანობის შესრულების მიზნით, 2020 წელს ღონისძიებები არ განხორციელებულა.

საქმიანობა 3.2.12.

პროკურატურის თანამშრომლებისათვის ტრენინგის ჩატარება “ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე” გაეროს რეზოლუციების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის კუთხით სპეციალიზებული პროკურორებისთვის HELP-ის პლატფორმის გამოყენებით განხორციელდა 3 თვიანი დისტანციური სასწავლო კურსი - ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, რომლის ფარგლებშიც სწავლება გაიარა 20-მა მსმენელმა. სასწავლო კურსი მოიცავდა “ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე” გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს.

მოქმედების სფერო III - დაცვა

მიზანი 4.

ქალებისა და გოგოების უსაფრთხოება, საჯარო სერვისებზე წვდომა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა უზრუნველყოფილია;

ამოცანა 4.1. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის შექმნილია და ფუნქციონირებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და უფასო იურიდიული მომსახურების სისტემა;

ამოცანის ინდიკატორი 4.1.ა: ქალთა პროცენტული რაოდენობის ზრდა (კაცებთან თანაფარდობით), რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფოს უფასო იურიდიული მომსახურებით ბაზისი: 2017 წელს იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაენია 1276 დევნილს - საერთო კონსულტაციების და საქმეების 5%. ქალი - 676 კაცი, 600 ქალი;

მიზანი: 2020 წლისათვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით (ქალი 6%; კაცი 4%);

წყარო: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

საქმიანობა 4.1.1

წლიურად არანაკლებ იურიდიული დახმარების სამსახურის 15 უფასო საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის, მათ შორის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე-მეტწილად შესრულდა; იუსტიციის სამინისტრო-განხორციელდა;

2020 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ჩატარდა 12 საკონსულტაციო შეხვედრა, უშუალო ფორმატით შემდეგ რეგიონებში: ბაღდათი (04/08/2020), წყალტუბო (07/08/2020), დმანისი (15/07/2020), დუშეთი (07/07/2020), ყვარელი (21/07/2020), ლაგოდეხი (24/06/2020), წალენჯიხა (22/09/2020), მარტვილი (24/09/2020), ქედა (14/08/2020), ზარდიაანთკარი (03/07/2020), ხულო (13/08/2020) და ქობულეთი (15/08/2020).

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს მეჯვრისხევში (გორის მუნიციპალიტეტი), ტყვიავში (გორის მუნიციპალიტეტი), ბერძენაულში (ქარელის მუნიციპალიტეტი), რუხში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ორსანთიასა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) და ჭვარში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით მოსახლეობას საშუალება აქვს, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“, სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ და შპს „მექანიზატორი“) და კერძო სექტორის („მაგთიკომი“ და „ლიბერთი ბანკი“) 200-ზე მეტი სერვისით. გარდა ამისა, საზოგადოებრივ ცენტრებში ხელმისაწვდომია ბანკომატი და სწრაფი გადახდის აპარატი, უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ელექტრონული და მატერიალური ბიბლიოთეკა და ასევე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შეხვედრების ოთახი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრებში 2020 წლის განმავლობაში ჩატარდა საგანმანათლებლო, საინფორმაციო და კულტურული ხასიათის ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, შედარებით შემცირებულია ცენტრებში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა.

1. მეჯვრისხევი - 2020 წლის 22 სექტემბერს, საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNGA) პროექტის - «ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება» - ფარგლებში გაიმართა „მოძრავი სახალხო უნივერსიტეტის“ ლექციათა ციკლი თემებზე:

„რუსული იმპერიალიზმი, საბჭოთა კავშირი და საქართველო“

„სამოქალაქო ინტეგრაცია და საშინაო კონფლიქტები საქართველოში“

2. მეჯვრისხევი, ტყვიავი - 2019 წლის სექტემბრიდან 2020 წლის მარტამდე პერიოდში, „ბრიტანეთის საბჭოსა“ და „რეფორმერის“ ორგანიზებით, ტარდებოდა, შესაბამისად, ინგლისური ენისა და პროგრამირების შემსწავლელი გაკვეთილები ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის.

3. მეჯვრისხევი - 2020 წლის 10 სექტემბერს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან სოფლის მეურნეობის პროექტებთან დაკავშირებით.

უძრავი ქონების რეგისტრაცია:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს მიწის რეგისტრაციის რეფორმას. რეფორმის ფარგლებში, გამყოფი ხაზის მოსაზღვრე სოფლებში 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა დამატებით 10 200-ზე მეტი, ჯამში 24 200-ზე მეტი მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია.

იურიდიული დახმარების რეგულარული მიწოდება დევნილი ქალებისა და გოგონებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იურიდიული კონსულტაციის გაწევა მიმდინარეობს რეგულარულად კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში.

ამოცანა 4.2.

დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალებს და გოგოებს აქვთ შესაბამისი ხელმისაწვდომობა საჯარო სერვისებზე;

ამოცანის ინდიკატორი: 4.2.ა: სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლე ქალების პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს;

მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს;

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ამოცანის ინდიკატორი: 4.2.ბ: განუული სერვისების მოცულობა და გეოგრაფიული არეალი;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს;

მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს;

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ამოცანის ინდიკატორი: 4.2.გ: სოციალური და ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმირებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების პროცენტული მაჩვენებელი;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს;

მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს;

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათა-შორისი კომისია.

საქმიანობა 4.2.1.

სამეგრელოში, იმერეთში და შიდა ქართლის რეგიონებში იძულებით გადაადგილებული ქალებისა და გოგოების საჭიროებების განხილვისა და დადანიშნულების მიზნით „ერთი ფანჯრის“ პრინციპით შეხვედრების ორგანიზება (წლის განმავლობაში მინიმუმ სამჯერ);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა

პანდემიიდან გამომდინარე აქტივობა არ განხორციელებულა.

საქმიანობა 4.2.2.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა ჯანდაცვის სერვისების წვდომაზე

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, მუნიციპალიტეტები

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ აფხაზურ და ოსურ ენებზე მომზადდა და გავრცელდა ინფორმაცია ახალი კორონავირუსისგან (COVID-19) თავის დაცვის რეკომენდაციების და წესების შესახებ, მათ შორის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პროტოკოლები; ამოქმედდა აფხაზურ და ოსურ ენოვანი ოფიციალური საიტი www.StopCov.ge;

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით, შედგა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა ვიზიტები აფხაზეთის რეგიონში, ადგილზე ვითარების შესწავლის მიზნით; ქართველი ექიმები აფხაზ კოლეგებს უწევდნენ ონლაინ კონსულტაციებს;

აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად გადაეცემოდა სხვადასხვა სამედიცინო საშუალებები და აღჭურვილობა როგორც საქართველოს მთავრობის, ისე დონორი-ორგანიზაციების მხრიდან, ქართული მხარის შუამდგომლობით;

ინფიცირებული პაციენტების მკურნალობის მიზნით, უმოკლეს ვადაში აღიჭურვა და მუშაობა დაიწყო რუხის საავადმყოფომ; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში 256 კოვიდ-ინფიცირებული პაციენტი გადმოყვანილი იქნა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, აქედან თითქმის ნახევარი ქალია.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები მუდმივად მუშაობენ დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხებზე, დევნილი გოგონები და ქალები შეუფერხებლად სარგებლობენ ჯანდაცვისა სერვისებით დევნილის მოწმობის წარდგენისთანავე.

საქმიანობა 4.2.4.

ქალთა არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების ბაზის შექმნა; ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პერიოდული შეხვედრების ორგანიზება ჯანდაცვისა და სოციალური საჭიროებების განსაზღვრის მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2019 წლის დასასრულს, ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის გასვლით სხდომაზე, კომისიის ფარგლებში ფუნქციონირება დაიწყო 9 სამუშაო ჯგუფმა. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში ამოქმედდა ცხრა სამუშაო ჯგუფი, რომლებიც კომისიის მიერ განსაზღვრული ცხრა პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ ფუნქციონირებენ. ყველა ჯგუფში სახელმწიფო უწყებებიდან, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ერთიანდებიან წარმომადგენლები. უწყებათაშორისი კომისიას გააჩნია ამ პრიორიტეტული თემების მიხედვით სეგრეგირებული მონაცემთა ბაზა, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახლდება, ჯგუფების მუშაობაში დაინტერესებისა და ჩართულობის ზრდის შემთხვევაში.

აღნიშნული ჯგუფების ფუნქციონირების ფარგლებში უწყებათაშორისი კომისია აქტიურად ატარებს შეხვედრებს მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად. მათ შორის ჯანდაცვისა და სოციალური საჭიროებების განსაზღვრის მიზნით. ვინაიდან სამუშაო ჯგუფები შეიქმნა 2019 წლის ბოლოს, დღემდე უშუალოდ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა შეადგენს 40-ს.

თბილისის მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მრჩევლისა და საკოორდინაციო ჯგუფის წევრების მიერ 2018 -2020 წლებში გაიმართა რამდენიმე წარმომადგენლობითი შეხვედრა , მოხდა მათი საჭიროებების იდენტიფიცირება,

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით ადგილობრივი გამგეობები უზრუნველყოფენ სხვადასხვა სოციალური საჭიროებების მოგვარებას: მატერიალური, სამედიცინო მედიკამენტებით, გათბობისა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებებისათვის covid19 ის პანდემიის პირობებში.

მიზანი 5.

სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები, გოგოები და მათი ოჯახის წევრები

ამოცანა 5.1. დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, სამეურნეო და სხვა სახის პროგრამები ხელმისაწვდომია და ჩართულობა გაზრდილია

ამოცანის ინდიკატორი:

5.1.ა: დევნილი ქალებისა და გოგოების პროცენტული რაოდენობა რომლებიც სარგებლობენ პროფესიული განათლების, გადამზადებისა და მენარმეობის განვითარების პროგრამებით

ბაზისი: პოლიტიკის არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით მიზანი: მინიმუმ 40%

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

5.1.ბ: ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის პროგრამებში დევნილი ქალებისა და გოგოების ჩართულობის პროცენტული რაოდენობა

ბაზისი: 40 %

მიზანი: საბაზისო 40% პროცენტის სულ მცირე შენარჩუნება

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქმიანობა 5.1.1.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების უმაღლესი განათლების ფინანსური მხარდაჭერა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

პროგრამა მიმდინარეობს ყოველწლიურად გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით და მთავრობის განკარგულების შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით, მტკიცდება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №609 და 2019 წლის 06 თებერვლის №123 ბრძანებების შესაბამისად, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრში დაფინანსდა 1608 სტუდენტი, აქედან 865 ქალი 743 მამაკაცი. მეორე სემესტრში 1626 სტუდენტი, აქედან 883 ქალი და 743 კაცი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 24 იანვრის №108 ბრძანებების შესაბამისად, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2019-2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაფინანსდა 2385 სტუდენტი, ხოლო მეორე სემესტრში 2251 სტუდენტი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის ფარგლებში განხორციელებული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამით 2019-2020 სასწავლო წელს დაფინანსდა 2408 სტუდენტი (2107 ბაკალავრი, 301 მაგისტრი; 2019-2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაფინანსდა 2385 სტუდენტი, აქედან 1286 ქალი და 1099 კაცი, ხოლო 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში 2251 სტუდენტი, აქედან 1238 ქალი და 1013 კაცი; მიიმართა 4 834 500 ლარი). აღსანიშნავია, რომ პროგრამა გაგრძელდა 2020-2021 სასწავლო წელსაც და ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტუდენტების დაფინანსების პროცედურების განხორციელება.

საქმიანობა 5.1.2.

დევენილი ქალების და ახალგაზრდების სახელოვნებო-შემოქმედებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჯამში ჩაირიცხა 7118 პირი, რომელთა შორის 335 პირი დევნილის სტატუსის მქონეა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულთა ნახევარს ქალები წარმოადგენენ, მათ შორის, 137 დევნილი ქალია. პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული დევნილის სტატუსის მქონე პირების უმრავლესობა ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან. კერძოდ, 2020 წელს პროფესიულ პროგრამებზე 15-29 წლის - 271, ხოლო, 30 წლის და უფროსი- 64 დევნილი პირი ჩაირიცხა. დევნილი ქალების უმრავლესობა ჩაირიცხა შემდეგ პროგრამებზე: ფარმაცია, სამკერვალო წარმოება, საფინანსო სერვისები, ბუღალტრული აღრიცხვა, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ინფორმაციის ტექნოლოგია, კულინარიის ხელოვნება, საოფისე საქმე და სხვ.

თბილისის მერია: covid 19 - ის პანდემიის პირობებში დევნილთა ოჯახები სარგებლობდნენ ყველა ადგილობრივი რესურსით, წლის განმავლობაში მათ არაერთგზის გაეწიათ მატერიალური და საკონსულტაციო დახმარება.

საქმიანობა 5.1.3.

დევენილი ქალებისა და გოგოების სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწია 103 ბენეფიციარ ქალს.

საქმიანობა 5.1.4.

სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საჭიროების მქონე დევნილი ქალებისა და გოგოების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს, „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ტრანსპორტირების თანხით უზრუნველყოფილი იქნა 207 დევნილი და ეკომიგრანტი, მათ შორის 103 (49,76%) ქალია.

საქმიანობა: 5.1.5:

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული დევნილი და დაბრუნებული მიგრანტი ქალების დაფინანსება შემოსავლის წყაროს და თვითდასაქმების მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე- ნაწილობრივ შესრულდა

2020 წელს პანდემიიდან გამომდინარე „თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამაზე“ განაცხადების მიღება დაიწყო 15 დეკემბერს, შესაბამისად გამარჯვებულთა გამოვლენა და დაკმაყოფილება მოხდება 2021 წელს.

საქმიანობა 5.1.6.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების შეღავათიან აგრო და მცირე ბიზნეს გრანტებზე წვდომის ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2016 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „USAID Zrda“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, „USAID Zrda“ ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს სოფლად საოჯახო მეურნეობების დახმარებას. პროექტი აქტიურად უჭერს მხარს ქალთა ჩართულობას ბიზნეს საქმიანობაში.

2020 წლის განმავლობაში, „USAID Zrda“ პროექტის ფარგლებში, 2020 წელს სასოფლო-სამეურნეო პროექტებში გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 710-ს, მათ შორის იყო 248 ქალი. უშუალოდ 2020 წელს გრანტი მიიღო 91-მა ქალმა სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონში (მათ შორის, გამყოფი ხაზის მიმდებარე/კონფლიქტისპირა სოფლებიდან, თუმცა არიან თუ არა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულნი მათი იდენტიფიცირება არ მომხდარა).

რაც შეეხება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებში/პროგრამებში მონაწილე დევნილ მდებარეობითი სქესის ბენეფიციართა რაოდენობას, 2020 წელს ჩართული იყო 69 ქალი.

საქმიანობა 5.1.7.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საინფორმაციო, სამართლებრივი და ტექნიკური კონსულტაციების გაწევა დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

2019 წლის 11 დეკემბერს „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ„ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება დაევალა სამინისტროს ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობა შეფერხებულად მიმდინარეობდა, მაგრამ წლის ბოლოსთვის რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შემდგომ კვლავ გაგრძელდა ამ მიმართულებით მუშაობა და კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობ პროგრამებთან დაკავშირებით რეგიონებში დაიგეგმა საინფორმაციო კამპანიების და საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა, მათ შორის იმ რეგიონებში, სადაც დევნილების კომპაქტური დასახლებებია. თუმცა, დაგეგმილი შეხვედრების გამართვა 2020 წელს არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, ვერ მოხერხდა. ამასთან, გაცნობებთ, რომ 31.12.2020-ს მდგომარეობით, ფუნქციონირებდა 5 დევნილთა კოოპერატივი, რომლებშიც ჯამურად გაერთიანებული 60 მეპაიეა (ყველა დევნილია), 27 მეპაიე ქალია. გარდა

ამისა, კოოპერატივში „დარჩელის თხილი“, რომლის მეპაიეთა რაოდენობა შეადგენს 540-ს, 43 მეპაიე დევნილია, მათ შორის 27 ქალი.

საქმიანობა: 5.1.8.

სამეწარმეო, სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს უნარ-ჩვევებში საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ჩატარება დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის და გოგონებისთვის

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2016 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „USAID Zrda“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, „USAID Zrda“ პროექტის ფარგლებში 2020 წელს, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ 284 ბენეფიციარს ჩაუტარდათ ტრენინგი სხვადასხვა თემატიკაზე, მათ შორის 108 ქალს; ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემებზე: ხილის, კენკრის, ბოსტნეულის (კიტრი, პომიდორი, კომბოსტო, სალათი, წინაკა და ა.შ.) წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები, სასურსათო უსაფრთხოება, სათბურების მოწყობისა და მოვლის თანამედროვე მეთოდები, ციფრული მარკეტინგი, პროჯექტ მენეჯმენტი, ინგლისურის შემსწავლელი კურსები, ბარტენდერი, ჰაუსქიფინგი, ფრონტ-ოფის მენეჯმენტი, სტარ-უპ ბიზნესების განვითარება, ფროფოუზალ ვრაითინგი, ბიზნეს გეგმის შედგენა, რესტორნის მენეჯმენტი, Professional Orientation and Career Guidance Project.

საქმიანობა: 5.1.9.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის განათლების, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სერვისებისადმი წვდომის ხელშეწყობა და გამარტივება (შეხვედრების ორგანიზება)

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

პარტნიორი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2018 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამშვიდობო ინიციატივის “ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ” ფარგლებში, შეიქმნა „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“, რომლის მიზანია გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო პროექტების/ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა და ამგვარად ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. 2020 წლის 8 ოქტომბერს ფონდმა გამოაცხადა პირველი საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებში დარეგისტრირდა 27 განაცხადი და აქედან შერჩეულ იქნა 14 საუკეთესო ერთობლივი ბიზნეს-პროექტი, შემდგომი დაფინანსების მიზნით; ბენეფიციართა შორის 13 ქალია.

გაგრძელდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული სკოლისშემდგომი მოსამზადებელი პროგრამის განხორციელება, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მომზადებასა და უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩარიცხვას, ასევე ყოველთვიურ სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით და საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფას. 2020 წელს პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული რეგიონებიდან 180 სტუდენტი დარეგისტრირდა; პანდემიის გამო პროგრამის განხორციელება შეფერხდა, თუმცა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა დარეგისტრირებული ახალგაზრდა უგამოცდოდ ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. დამატებით, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩაირიცხა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული 214 აბიტურიენტი.

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში, გრძელდებოდა სახელმწიფო რეფერალური პროგრამის განხორციელება; 2020 წლის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 892-მა ადამიანმა, აქედან 468 ქალია. რეფერალური პროგრამის გარდა, 2020 წელს აფხაზეთის რეგიონს გადაეცა იმუნიზაციის და გრიპის ვაქცინები, დიაბეტის წამლები, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები, რომელთა ღირებულებამ 1,3 მილიონზე მეტი ლარი შეადგინა. ამასთან, საქართველოს მთავრობამ მიიღო ქმედითი ზომები ოკუპირებულ

რეგიონებში პანდემიასთან საბრძოლველად და ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად.

1) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ აფხაზურ და ოსურ ენებზე მომზადდა და გავრცელდა ინფორმაცია ახალი კორონავირუსისგან (COVID-19) თავის დაცვის რეკომენდაციების და წესების შესახებ, მათ შორის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პროტოკოლები; ამოქმედდა აფხაზურ და ოსურ ენოვანი ოფიციალური საიტი www.StopCov.ge;

2) სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით, შედგა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა ვიზიტები აფხაზეთის რეგიონში, ადგილზე ვითარების შესწავლის მიზნით; ქართველი ექიმები აფხაზ კოლეგებს უწევდნენ ონლაინ კონსულტაციებს;

3) აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად გადაეცემოდა სხვადასხვა სამედიცინო საშუალებები და აღჭურვილობა როგორც საქართველოს მთავრობის, ისე დონორი-ორგანიზაციების მხრიდან, ქართული მხარის შუამდგომლობით;

4) ინფიცირებული პაციენტების მკურნალობის მიზნით, უმოკლეს ვადაში აღიჭურვა და მუშაობა დაიწყო რუხის საავადმყოფომ; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში 256 კოვიდ-ინფიცირებული პაციენტი გადმოყვანილ იქნა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, აქედან თითქმის ნახევარი ქალია.

გარდა ამისა, აფხაზეთის რეგიონიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილ ყველა 247 სტუდენტს აუნაზღაურდა ბინის ქირის საფასური, ასევე სტუდენტებს თბილისში, ზუგდიდში და ქუთაისში გადაეცათ საკვები პროდუქტები და ჰიგიენის ნივთები.

სსიპ «ანარმოე საქართველოში» ჩართული იყო როგორც პარტნიორი. აღნიშნული მიზნით, 2020 წლის 13 მაისს და 6 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ საინფორმაციო სესიები, რომლის ფარგლებშიც სსიპ «ანარმოე საქართველოში» წარმომადგენლებმა ისაუბრეს სააგენტოს პროგრამებსა და მასში მონაწილეობის პირობებზე. აღნიშნულ შეხვედრებს ესწრებოდა 100-მდე ქალი და მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოში არსებული პანდემიით გამოწვეული სირთულეების დაძლევა.

საქმიანობა 5.1.10.

გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების გადამზადების და უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით სასწავლო მოდულის შემუშავება და პროგრამების განხორციელება ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიზნესის საკითხების ირგვლივ

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

პარტნიორი უწყება: სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საანგარიშო პერიოდში, გამყოფ ხაზთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან მჭიდრო თანამშროლობით ორგანიზება გაუწია ონლაინ სასწავლო კურსს „როგორ დავინწყოთ ბიზნესი“, რომელიც 2020 წლის ივლისში ჩატარდა. სასწავლო კურსის შედეგად გადამზადდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული 12 ქალი გორის, კასპის, ხაშურის და ქარელის მუნიციპალიტეტებიდან.

საქმიანობა 5.1.11.

გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები სტუდენტების ჩართვის შესაძლებლობა არსებულ სასწავლო კურსებში კვოტირების მექანიზმის საშუალებით

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

პარტნიორი უწყება: სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების სტატუსი: სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია - არ დაწყებულა; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი-პრობლემურია

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აღნიშნული აქტივობის განხორციელებას გეგმავს 2021 წელს.

პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, წინა წლებისგან განსხვავებით, სასწავლო კურსში გაღები სტუდენტების ჩართვა ვერ მოხერხდა.

საქმიანობა 5.1.12.

გარემოს დაცვის საკითხების განხილვის პროცესში, დაინტერესების შემთხვევაში, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების ჩართვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის გარემოს დაცვის საკითხების საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის დროულ მიწოდებას რამდენიმე გზით: ინფორმაციის გავრცელება ცენტრის სოციალური გვერდის გამომწერებისთვის, ცენტრის ვებგვერდისა (www.eiec.gov.ge) და საჯაროდ სოციალური ქსელის პლატფორმაზე. საჯარო განხილვა ღიაა.

საჯარო განხილვაში მონაწილეობის, ასევე ზეპირი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. საანგარიშო პერიოდში საჯარო განხილვები ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, იმართებოდა დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით, სადაც მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ნებისმიერ დაინტერესებულ საზოგადოებას, თუმცა უშუალოდ დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ჯგუფის იდენტიფიკაცია არ მომხდარა

საქმიანობა 5.1.13.

დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის და გოგობისთვის, მათი დაინტერესების შემთხვევაში, გარემოს დაცვის საკითხებზე სემინარების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს „განათლების ხელშეწყობა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში“ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი იყო გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების სასწავლო დაწესებულებებისთვის სემინარების და ტრენინგების ჩატარება ადგილზე, თუმცა შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, დაგეგმილი აქტივობები ვერ განხორციელდა, ხოლო დისტანციურად ტრენინგებზე დასწრების სურვილი არ გამოხატულა. შეზღუდვების სრულად მოხსნასთან ერთად, ცენტრი გააგრძელებს ამ მიმართულებით აქტივობების განხორციელებას.

საქმიანობა 5.2.1.

სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლების მხარდაჭერა დევნილ პირთა და სახლებებში და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

სშესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს ჩატარდა კონკურსი „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე-დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების

ხელმისაწვდომობა“. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში არსებულ დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები დევნილი მოსახლეობისთვის; დევნილი ბავშვებისა და მოზარდების ინტერესთა შესაბამისად, სხვადასხვა სახელოვნებო წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობა; სხვადასხვა არაფორმალურ სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებში დევნილი ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობის გზით, მათი შემოქმედებითი და ესთეტიკური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

გამარჯვებულად გამოვლინდა 6 პროექტი. პროექტების ფარგლებში განხორციელდა 119 აქტივობა-ღონისძიება (სახელოვნებო-სასწავლო გაკვეთილები, შემოქმედებითი შეხვედრები, კონცერტები, დისკის გამოცემა, ვედუო-რგოლის შექმნა, კონკურსი, კონ-ფერენცია, ტრენინგები, პრეზენტაცია); განხორციელებულ ღონისძიებებში ჩართული იყო დევნილთა დასახლებებში მცხოვრები - 1194 მოსწავლე-ახალგაზრდა, მათ შორის გოგონა- 670; პროექტებში დასაქმებული იყო - 103 პირი, მათ შორის ქალი-81; დევნი-ლის სტატუსის მქონე პირი - 65, მათ შორის, ქალი-48.

საქმიანობა 5.2.2.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კულტურულ ობიექტებ-სა და ღონისძიებებზე სპეციალური საშეღავათო პირობების შემოღება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში ვიზიტი უფასოა.

საქმიანობა 5.2.3.

კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით დევნილი და კონფლიქტით დაზარა-ლებული ქალებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე ნაწილობრივ შესრულდა

ქვეყანაში შექმნილი ეპიდ. ვითარებიდან გამომდინარე, კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და

ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციების მიერ ნაწილობრივ განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიებები - საგანმანათლებლო პროგრამები, კონფერენციები, გამოფენები, შემეცნებითი ტურები, პუბლიკაციები კონფლიქტის ზონაში არსებულ ძეგლებზე, საზღვრისპირა ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, ღონისძიებების უმრავლესობა გაიმართა ონლაინ.

საქმიანობა 5.2.4.

მიზნობრივი სპორტული ღონისძიებების განხორციელება ახალგაზრდებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა

2020 წელს შექმნილი (კოვიდ-19) პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, დაგეგმილი სპორტული ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების სპორტულ აქტივობებში ჩართვის მიზნით, შეფერხდა და ავტომატურად გადაიდო მომდევნო წლებისათვის.

მოქმედების სფერო IV - სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელება და მონიტორინგი

მიზანი 6

1325 რეზოლუციის მიზნები და ამოცანები ინტეგრირებულია ეროვნულ პოლიტიკასა და უწყებრივ სტრატეგიებში"

ამოცანა: 6.1

ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და ანგარიშგების მდგრადი მექანიზმი

ამოცანის ინდიკატორი : 6.1.ა: თბილისსა და რეგიონებში უწყებათაშორისი კომისიის რეგულარული შეხვედრების ოქმების არსებობა ბაზისი: არ არსებობს მიზანი: ოქმების

არსებობა წყარო: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

6.1.ბ: ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის არსებობა და გასაჯაროება (ექვს თვეში ერთხელ) ბაზისი: არ არსებობს მიზანი: საჯარო მონიტორინგის ანგარიშის არსებობა წყარო: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

6.1.გ: ეროვნული სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის არსებობა და გასაჯაროება ბაზისი: არ არსებობს მიზანი: საჯარო წლიური ანგარიშის არსებობა წყარო: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

საქმიანობა 6.1.1.

იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და გოგოებთან შეხვედრების ორგანიზება სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესის შესწავლისა და მონიტორინგისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №551 დადგენილების მიხედვით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაცია, ანგარიშგება და მონიტორინგი. 2020 წლის დასაწყისში განხორციელებული ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს რეფორმა, უპირატესად, მიზნად ისახავდა საბჭოს მანდატის გაფართოებას და ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილების დახვეწას.

თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირებას, ორგანიზაციულ და ანალიტიკურ მხარდაჭერას და მათ შორის უზრუნველყოფს თემატური სამუშაო ჯგუფების, კომისიების გამართულ ფუნქციონირებას, ეფექტიანი კოორდინაციის, განხორციელებისა და ანგარიშგების მიზნით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით და იგი საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

საქმიანობა 6.1.2.

მუნიციპალიტეტებისა და ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს, ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კომუნიკაციისა და კოორდინაციის გასაუმჯობესებლად და გასამართლებლად სოციალური ქსელის მეშვეობით შეიქმნა ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პლატფორმა. პლატფორმის მეშვეობით უწყებების წარმომადგენლებს შორის ხდება ისეთ თემებზე ინფორმაციის მიმოცვლა, როგორცაა ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა გაძლიერების სფეროში არსებულ გამოწვევები. განიხილება მნიშვნელოვანი თარიღები და მათთან დაკავშირებით დაგეგმილ აქტივობები, რომლებშიც ჩართულები არიან როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

საქმიანობა 6.1.3.

კომისიის ექსპერტებით, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება სამთავრობო სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროგრესის განხილვისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო, საქმიანობის სრულყოფილად განხორციელდა ვერ მოხერხდა. მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს ინიციატივითა გაეროს სააგენტოების მხარდაჭერით საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა ინტერაქტიური შეხვედრები (სულ 4 შეხვედრა) შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებთან, რომლის მიზანი იყო ორგანიზაციების საკონტაქტო პირების გამოცდილების საფუძველზე ინფორმაციის შეგროვება გეგმების შემუშავების და იმპლემენტაციის ეტაპებზე უწყებების ჩართულობის შესახებ. ექსპერტ მკვლევარის მიერ შედგენილი იქნა სპეციალური კითხვარი, რომლის საფუძველზეც უწყებებიდან მიღებულია რელევანტური ინფორმაცია. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ექსპერტების მიერ შემუშავდა რეკომენდაციები მომდევნო სამოქმედო გეგმის წერის და მონიტორინგის პროცესებში გასათვალისწინებლად.

საქმიანობა 6.1.4.

გენდერული ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2019 წლის დასასრულს, ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის გასვლით სხდომაზე, კომისიის ფარგლებში ფუნქციონირება დაიწყო 9 სამუშაო ჯგუფმა. 2020 წლის განმავლობაში სამუშაო ჯგუფები აქტიურად მუშაობდნენ ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, გენდერული ასპექტების ბიუჯეტში ასახვა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, გენდერული თანასწორობის მენისტრიმინგი, და სხვა.

ერთ-ერთ ასეთ სამუშაო ჯგუფად განსაზღვრულია მონაცემების შეგროვების უნიფიცირებული მიდგომების სამუშაო ჯგუფი. პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, მრავალი გასვლითი აქტივობა, რომელიც დაგეგმილი იყო 2020 წლის და 2021 წლის ფარგლებში, შეიზღუდა, მოდიფიცირდა და ძირითადად შემოიფარგლა ონლაინ საკოორდინაციო ღონისძიებების სახით, რომლებშიც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა გარდა, აქტიურად არიან ჩართული და თანამშრომლობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. რამდენიმე მიმართულებით უკვე დაწყებულია სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებისა და კონცეფციების შემუშავება. 2020 წლის განმავლობაში, მონაცემების შეგროვების უნიფიცირებული მიდგომების სამუშაო ჯგუფმა შეხვედრა ვერ განახორციელა და საანგარიშო პერიოდისთვის, სტატისტიკური ინფორმაციის გენდერულად სეგრეგირებული შეგროვების ერთიანი სტანდარტი შემუშავებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის საფუძველზე განახლებული მეთოდოლოგიით იქნება შესაძლებელი მათ შორის გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შესახებ სტატისტიკის წარმოება. მემორანდუმით გათვალისწინებულია უწყებების ანგარიშვალდებულება ერთმანეთის მიმართ ინფორმაციის გაზიარების თაობაზე. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის სფეროში არსებულ შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სტანდარტებს, პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და ემსახურება აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

ამასთანავე, შემუშავებულია შიდაუწყებრივი - შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის 2021-2023 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები, რომელთა დამტკიცება იგეგმება 2021 წელს.

საქმიანობა 6.1.5.

ანგარიშის წარდგენა ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, საქართველოს მთავრობის N286-ე

დადგენილების მიხედვით, ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ასევე „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. ყოველწლიური ანგარიში, ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშთან ერთად განსახილველად წარედგინება ადამიანის უფლებების უწყებათაშორის საბჭოს და საქართველოს პარლამენტს. უწყებათაშორისი კომისიის მიერ მომზადებული ანგარიში საჯაროა და შეგიძლიათ იხილოთ ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ვებ-გვერდზე: <http://myrights.gov.ge/ka>

საქმიანობა 6.1.6.

გეგმის იმპლემენტაციის პროცესში იმ საკითხების იდენტიფიცირება რაც საჭიროების შემთხვევაში აისახება გეგმაში ცვლილებების სახით შუალედური ანგარიშგებისა და წარედგინება საქართველოს მთავრობას განსახილველად/ დასამტკიცებლად;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, მუშაობს მომავალი წლის სამოქმედო გეგმაზე, სამუშაო პროცესი მოიცავს უკვე შესრულებული გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, ასევე „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საკითხებში პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების, უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზს, ვინაიდან აუცილებელია მომავალი სამოქმედო გეგმის დაწერამდე, წინა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების შედეგის განხილვა, გეგმით განსაზღვრული მიზნის და ანგარიშგებით მიღებული შედეგების ურთიერთ შესაბამისობის დადგენა, ასევე იმ აქტივობების იდენტიფიცირება რომელიც არსებული სამოქმედო გეგმით იყო განსაზღვრული თუმცა გარკვეული გარემოებების გამო ვერ განხორციელდა, აღნიშნული გარემოებების განხილვა, შეუსრულებელი ამოცანების განსახორციელებლად უფრო ეფექტური მექანიზმების განსაზღვრა, ასევე იმ საჭიროებების იდენტიფიცირება, რომლებიც ახლა დგას დღის წესრიგში და აუცილებელია სამომავლოდ გათვალისწინებულ იქნას. ძირითადი გეგმის იმპლემენტაციის პროცესში „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2018-2020 წლებისთვის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის №182 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართს დაემატა მე-15 თავი თანასწორობის პოლიტიკის დამკვიდრებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

საქმიანობა 6.1.7.

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ყოველწლიური ანგარიშის მომზადება, რომელიც განსახილველად წარედგინება ადამიანის უფლებების უწყებათაშორის საბჭოს და საქართველოს პარლამენტს;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, საქართველოს მთავრობის N286-ე დადგენილების მიხედვით, ყოველწლიურად ამზადებს „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ანგარიშს, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად უწყებათაშორისმა კომისიამ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 აპრილის N719 განკარგულებით, წარადგინა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის 2019 წლის ანგარიში.

